

სარეგისტრაციო კოდი \_\_\_\_\_

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №  
2015 წლის \_\_\_\_\_ ქ. თბილისი**

**სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების  
შექმნისა და ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1**

საქართველოს კანონის წყლის რესურსების მართვის შესახებ მე-3 კარის, მე-13 თავის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის გეგმების მომზადებისა და განხორციელების პროცესში კონსულტაციების გაწევის, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავებისა და მხარეთა კოორდინაციის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეიქმნას სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოები (შემდგომში სააუზო საბჭოები).

**მუხლი 2**

სააუზო საბჭოები შეიქმნას სააუზო-ტერიტორიული პრინციპით. მდინარეთა აუზების მართვის ყოველი სააუზო უბნისთვის შეიქმნას ერთი სააუზო საბჭო.

**მუხლი 3**

სააუზო საბჭოების შემადგენლობა განისაზღვროს და დამტკიცდეს თითოეული სააუზო უბნისთვის ცალ-ცალკე.

**მუხლი 4**

დამტკიცდეს სააუზო საბჭოს თანდართული ტიპიური დებულება (დანართი1).

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ირაკლი ღარიბაშვილი*

## სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს ტიპიური დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შექმნილი სათათბირო ორგანო.
2. საბჭოს საქმიანობის მთავარი მიზანია შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მიზნით სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
4. საბჭოს სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

### მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა

1. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.
2. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების (მათი ადგილობრივი ორგანოების ჩათვლით) თანამშრომლები, სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების დარგობრივი ორგანოების წარმომადგენლები, შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მეცნიერები, აგრეთვე შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყლის რესურსების მდგომარეობაზე, მსხვილი წყალმომხმარებლები, წყალმომხმარებელთა ასოციაციები და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.
3. საბჭოს შემადგენლობიდან წევრის გამოწვევა ხდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ, წევრის წარმდგენი ორგანოს წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით.

### **მუხლი 3. საბჭოს ამოცანები და უფლებამოსილებები**

1. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

- ა) მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებისას კონსულტაციების გაწევა, წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავება და წყლის რესურსების დაცვასა და მდგრადი გამოყენების საკითხებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების მომზადება;
- ბ) მდინარის აუზის მართვის გეგმის განხილვა საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე;
- გ) მდინარის აუზის მართვის გეგმის მომზადების პროცესში საჯარო განხილვებში მონაწილეობა;
- დ) მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეების საქმიანობის კოორდინაცია;
- ე) შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე ეკონომიკური, სოციალური და სხვა განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხილვებში მონაწილეობა წყლის რესურსების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ვ) მდინარის აუზის მართვის გეგმის განხორციელების პერიოდში წამოჭრილ საკითხებზე საექსპერტო დასკვნების მომზადება, აუზზე დამატებითი ზეწოლის წარმოქმნის ან შესაძლო წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი საკითხის დაყენება და გეგმის გადახედვის მოთხოვნა;
- ზ) შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშების გაცნობა წყლის რესურსებთან დაკავშირებული მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- თ) მდინარეთა აუზების მართვის მიზნით სახელმწიფო უწყებებს, საზოგადოებისა და წყალმომხმარებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა;
- ი) მდინარის აუზის მართვის გეგმაში შეტანილი საქმიანობის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით პროექტების მომზადება.

2. დასახული ამოცანების განსახორციელებლად საბჭო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ორგანოებიდან და სხვა დაწესებულებებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია.

### **მუხლი 4. საბჭოს მუშაობის ორგანიზება**

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე ან თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საბჭოს სხვა წევრი.
3. საბჭოს სხდომები ტარდება საბჭოს მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია საბჭოს სხდომის ვადამდე მოწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ან საბჭოს წევრების მინიმუმ ერთი მესამედის მიერ.
4. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.
5. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის ინიციატორი არაუგვიანეს 14 დღით ადრე საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
6. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წევრებს მიეწოდებათ სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.
7. ინფორმაცია საბჭოს სხდომის დანიშვნის შესახებ და წინასწარი დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს 5 დღით ადრე.
8. საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრის შედეგად.
9. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს წევრების ნახევარზე მეტის დასწრება.
10. საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციები გადაიგზავნება შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტებში.
11. საბჭოს სხდომების ოქმებისა და საბჭოზე მიღებული სხვა დოკუმენტების დეპოზიტარი არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნის შემთხვევაში მათ ხელმისაწვდომობას საბჭოს წევრებისა და საზოგადოებისთვის.

## **მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

1. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახური.

2. საბჭოს საქმიანობის საორგანიზაციო-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი სააუზო უბნის მართვის ორგანო, რომელიც საჯარო-საინფორმაციო საშუალებებით ავრცელებს ინფორმაციას სააუზო საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობის, სხდომების დანიშვნის თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობას.

### **მუხლი 7. დასკვნითი დებულება**

საბჭოს დებულების გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.